

შპს „პური და ფქვილი“ (ს/კ 440399310)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	6-15

შპს პური და ფქვილი
 ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2 024	2 023	2 022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	1 141 931	46 476	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 141 931	46 476	-
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	3	1 675 065	538 074	77 181
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	160 494	94 454	35 670
ფული და ფულის ექვივალენტები	2	105 057	39 264	2 645
სულ მიმდინარე აქტივები		1 940 617	671 792	115 496
სულ აქტივები		3 082 548	718 268	115 496
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		542 069	402 788	(9 841)
სულ საკუთარი კაპიტალი		542 069	402 788	(9 841)
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	2 540 479	315 480	125 338
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 540 479	315 480	125 338
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 082 548	718 268	115 496

შპს პური და ფქვილის დირექტორი :
 გიორგი ბეგიაშვილი



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2 024	2 023
შემოსავლები	8	3 006 345	2 405 436
თვითღირებულება	9	(1 982 716)	(1 585 149)
საერთო მოგება		1 023 629	820 287
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	10	(887 806)	(414 286)
მოთხოვნების გაუფასურება/რივერსი		-	-
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		3 458	6 628
საკურსო სხვაობის ზარალი		-	-
ფინანსური შემოსავალი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		-	-
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		139 281	412 629
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-	-
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		402 788	(9 841)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		542 069	402 788

შპს პური და ფქვილის დირექტორი :
 გიორგი ბეგიაშვილი


/  /

შპს პური და ფქვილი
 ფინანსური ანგარიშგებების აბსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
<u>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	-	(9 841)	(9 841)
წლის მოგება	-	412 629	412 629
დივიდენდის განაწილება	-	-	-
<u>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	-	402 788	402 788
წლის მოგება	-	139 281	139 281
დივიდენდის განაწილება	-	-	-
<u>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	-	542 069	542 069

შპს პური და ფქვილის დირექტორი :
 გიორგი ბეგიაშვილი

/  /

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პური და ფქვილი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2022 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 440399310, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: პურისა და ფქვილის წარმოება, ასევე საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, სიღნაღის რაიონი, ს. ძველი ანაგა, მე-10 ქ., N 16 ხოლო ფაქტიური - კახეთი სიღნაღის რაიონი ქ.წნორი წნორი, აღმაშენებლის ქ.

კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია: გიორგი ბეგიაშვილი, 40001038479, რომელიც ასევე გახლავთ კომპანიის მმართველი ობიექტორი

მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პოლიტიკა არის პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებსაც საწარმო იყენებს საქმიანობის აღრიცხვის პროცესში, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის დროს.

საწარმოს მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია არის:

- (ა) მომხმარებელთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების შესაბამისი;
- (ბ) საიმედო, იმის გამო, რომ საქმიანობის აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება:

- სამართლიანად წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;

- გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა მათ სამართლებრივ ფორმას;

- მქნება ნეიტრალური, ე.ი. არ იქნება მიკერძოებული;

მომზადებულია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესაძარის ინფორმაციას, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება,”

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში,

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). საწარმოს ფინანსური ოპერაციების აღრიცხვა მიმდინარეობს ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საწარმო უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო ვალუტით (ლარი), რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსს, ოპერაციის

აღრიცხვის დროს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (არა უგვიანეს საანგარიშგებო წლის დასასრულისა), საწარმოს:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულადი მუხლები გადაჰყავს სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით (საქონელი, ძირითადი საშუალებები, ავანსები, კაპიტალი და სხვა), გადაჰყავს სამუშაო ვალუტაში ოპერაციის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი არსებული სავალუტო კურსით;

(გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით, გადაჰყავს სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სავალუტო კურსით

.საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის.

სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

2024 წლის 31 დეკემბრისთვის აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლარს , ხოლო 100 რუსული რუბლი -2.5405

2023 წლის 31 დეკემბრისთვის აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლარს , ხოლო 100 რუსული რუბლი -2.9916

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით,

სავაჭრო მოთხოვნები,

სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით, შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად,

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში,

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეული და სასარგებლო წიაღისეულის პროდუქტები ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, რაც აისახება მოიმაში ან ზარალში.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე, მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით,

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს:

- მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს,
- მაიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში),
- მატრანსპორტო ხარჯებს;
- მატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს;
- სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდი ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით, გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში,

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით,

შენობა	30 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	3-5 წელი

ძირითად საშუალებას, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმო ასახავს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად გადაფასდება ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება. თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდება „გადაფასების ნამეტი“. თუმცა, მოგებაში ან ზარალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული ნამეტი თანხა იმ ოდენობით, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა. თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

სავაჭრო და სხვა დავალიანება

სავაჭრო და სხვა დავალიანება, სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით,

საგადასახადო ვალდებულებები, გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას, თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით,

ნასესხები სახსრები, ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით,

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იზეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0,85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იზეგრება,

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია, მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან გვერდით

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში,

ამონაგების აღიარება, ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე, კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას, ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს, ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ, თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან, კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე, გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსის საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით, ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის, სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან, გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი,

ფუნქციონირებადი საწარმო,

ფუნქციონირებადი საწარმო, ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიას საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა,

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობე ბი	მანქანა- დანადგა რები	სატრანსპორტ ო საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-
შეძენა	-	-	746	46 229	551	1 123
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	746	46 229	551	1 123
შეძენა	96 709	900 985	79 436	51 618	5 968	44 081
გასვლა	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	96 709	900 985	80 182	97 847	6 519	45 204
	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-
წლის ცვეთის ხარჯი	0	0	-59,26	-2063,14	-39,06	-11,16
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	0	0	0	0	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	0	0	0	-2063,14	-39,06	-11,16
წლის ცვეთის ხარჯი	0	-55252,94	-15097,18	-5032,45	-1508,5	-6451,72
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	0	0	0	0	0	0
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(55 253)	(15 097)	(7 096)	(1 548)	(6 463)

ნეტო საბალანსო ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	746	44 166	512	1 112
2024 წლის 31 დეკემბერი	96 709	845 732	65 085	90 752	4 971	38 741
სულ 2024 წელი						46535,12
სულ 2024 წელი						1141990,19

2. ფული და ფულის ექვივალენტები

(ლარი)	31.დეკ.24	31.დეკ.23
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52 526	39 264
ეროვნული ვალუტა საღაროში	52 531	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	105057	39264

შპს პური და ფქვილი
ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

3. მარაგები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
ნედლეული	703 036	39 915
მზა პროდუქცია	964 788	493 970
სხვა მარაგები	7 240	4 189
სულ მარაგები	1 675 065	538 074

4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.24	31-დეკ-23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	153 366	88 854
გაცემული ავანსები	7 128	5 600
სხვა მოთხოვნები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	160 494	94 454

5. ვალდებულებები

5,1 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.დეკ.24	31-დეკ-23
სავაჭრო ვალდებულებები	213 943	216 235
სახელფასო ვალდებულება	-	4 788
მიღებული ავანსები	5 816	-
სხვა ვალდებულებები	38 232	94 457
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	257 991	315 480

5,2 სასესხო ვალდებულებები

	31.დეკ.24	31-დეკ-23
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	1 966 132	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	162 582	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	149 000	-
გადასახდელი პროცენტები ლარში	4 773	-
სულ სასესხო ვალდებულებები	2 282 487	-

კომპანიამ აიღო 2024 წელს ივლისში ბანკისგან აიღო სასესხო ვალდებულება, რომელიც არის გრძელვადიანი, თუმცა მისი მიმდინარე ნაწილი გადატანილი მოკლევადიან ნასესხებ თანხებში

6. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

	31.დეკ.24	31-დეკ-23
საპროცენტო ხარჯი	(201 076)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური ხარჯი	(201 076)	-

შპს პური და ფქვილი
ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კომპანიას არ აქვს საწესდებო კაპიტალი, გარკვეული ფულადი სახსრები, რომლის შეტანაც მოხდა კომპანიაში დაიფარა იმავე საანგარიშგებო პერიოდში

8, ამონაგები

	31.დეკ.24	31-დეკ-23
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	3 006 345	2 405 436
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		9 997
სულ ამონაგები	3 006 345	2 415 433

9 რეალიზაციის თვითღირებულება

		2 023,00
მასალების ღირებულება	(1 982 716)	(1 585 149)
ფასდაკლების ღირებულება		-
რეკლამის ღირებულება		-
სხვა ხარჯების ღირებულება		-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(1 982 716)	(1 585 149,46)

10, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.დეკ.24	31-დეკ-23
ხელფასის ხარჯი	(92 125)	(103 605)
ცვეთის ხარჯი	(83 343)	(2 173)
სოციალური დანარიცხები	(943)	(1 830)
იჯარის ხარჯი	-	(5 000)
რემონტის და სხვა ოფისის ხარჯები	(15 606)	(14 946)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(10 448)	(447)
მიწოდების ხარჯები	(241 522)	(130 900)
ძირითადი საშუალებების ხარჯი	(61 598)	(23 153)
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	(10 728)	(50 757)
საბანკო ხარჯი	(8 958)	(1 432)
საკონსულტაციო ხარჯი	(17 401)	(3 184)
მარაგების ხარჯი	(41 153)	(42 855)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(95 362)	(28 973)
სხვა ხარჯი	(7 543)	(5 031)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(686 730)	(414 286)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება.

არსებობს ორი ტიპის მოვლენები:

- (ა) მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები);
 - (ბ) მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები).
- საწარმო აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხების მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაცია, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები

საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს შემდეგნაირად:

(ა) მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას ასახავს ამ ცვლილებების გარდამავალი დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი არსებობს;

(ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარ ნებისმიერ სხვა ცვლილებას რეტროსპექტულად გამოყენება. საწარმო ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას, წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის მიმართ, გამოიყენებს ყველაზე ადრეული თარიღიდან, რომლისთვისაც ამის გაკეთება შესაძლებელია. ამასთან, ცვლილებები განხორციელდება იმგვარად, თითქოს ყოველთვის მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა. როდესაც შეუძლებელია განისაზღვროს, კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა წინა ერთი ან რამდენიმე წარდგენილი პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, მაშინ საწარმო ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას გამოიყენებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მიმართ, რომელიც მათ ჰქონდათ საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულის დასაწყისისათვის, რომლის- მსს ფასს-თვისაც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენება შესაძლებელია, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდიც იყოს. ამასთან, შესაბამისი კორექტირებები განხორციელდება ზემოაღნიშნული პერიოდის საკუთარი კაპიტალის ყველა იმ კომპონენტის საწყის ნაშთში, რომელზეც ეს ცვლილება ახდენს გავლენას.

შეფასება და წარდგენის ვალდებულება

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბრით;

შპს პური და ფქვილის დირექტორი :
გიორგი ბეგიაშვილი

1 